ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №89

2015 წლის 29 ივლისი,
ქ. ბათუმი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014-2015 სასწავლო წლის კურსდამთავრებული, აკადემიური დავალიანების მქონე ზოგიერთი სტუდენტისათვის გამონაკლისის დაშვების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43–ე მუხლის მე–12 პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 და 66–ე მუხლების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014-2015 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტებს, რომლებიც ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ აქტის გამოსაცემად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მომართავენ ბსუ-ს, სწავლის გაგრძელების მოთხოვნით, მიეცეთ შესაძლებლობა 2015-2016 სასწავლო წლის ბოლომდე აითვისონ დავალიანებული კრედიტები;
2. ამ დადგენილებით განსაზღვრული კატეგორიის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა 2015-2016 სასწავლო წელს, დადგენილ ვადებში გაიარონ ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია. ამ რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში კი გამოცემული იქნას ბრძანება მათთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.
3. ვადაგაგრძელებული სტუდენტები ვერ სარგებლობენ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების უფლებით.
4. სტუდენტებს, რომელთა დავალიანებული კრედიტების რაოდენობა აღემატება 75–ს, შეუწყდეთ სტუდენტის სტატუსი, გამონაკლისის დაშვების გარეშე;
5. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ეთხოვოს „ბსუ-ს სტუდენტთათვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ რექტორის ბრძანებების საფუძველზე, წინამდებარე დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაბამისი აქტების გამოცემა;
6. ეს დადგენილება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობისა და ფაკულტეტების დეკანატების საინფორმაციო დაფებზე, ასევე გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“;
7. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
პროფესორი **გურამ ჩაგანავ**